დანართი 1

შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი
მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე
სწავლის მარეგულირებელი წესი

თბილისი
2025

შინაარსი

მუხლი 1. მოქმედების სფერო და ფარგლები 3

მუხლი 2. მასწავლებლის მომზადების საგანამანთლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძვლები 3

მუხლი 3. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე რეგისტრაციის წესი 3

მუხლი 4. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვული გამოცდის ჩატარების წესი 4

მუხლი 5. საგამოცდო ნამუშევრის შემოწმება და აპლიკანტებისათვის პირველადი შედეგების გაცნობა 5

მუხლი 6. საგამოცდო ნამუშევრის გასაჩივრება 5

მუხლი 7. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი 6

მუხლი 8. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატუსის შეჩერება 7

მუხლი 9. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატუსის აღდგენა 7

მუხლი 10. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატუსის შეწყვეტა 8

მუხლი 11. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლება - მოვალეობები 8

მუხლი 12. საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობა 9

მუხლი 13. რეგისტრაცია 9

მუხლი 14. სწავლების ენა 10

მუხლი 15. საკრედიტო სისტემა 10

მუხლი 16. პრაქტიკა 10

მუხლი 17. საგამოცდო პროცესი 11

მუხლი 18. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება 11

მუხლი 19. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული საკითხები 11

მუხლი 20. დასკვნითი დებულებები 12

მუხლი 1. მოქმედების სფერო და ფარგლები

1.1. წინამდებარე დოკუმენტის მიზანია მოაწესრიგოს შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის (შემდგომში ,,უნივერსიტეტი“) მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე პირის მიღების წესი და პირობები, სტატუსის მოპოვების, შეჩერების, შეწყვეტის, მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლისა და პროგრამის დასრულებასთან დაკავშირებული საკითხები.

1.2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა - ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ან ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამისა და მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამისაგან დამოუკიდებლად, შესაბამის სტანდარტზე დაყრდნობით შემუშავებული 60 კრედიტიანი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, რომლის სწავლის შედეგებიც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისათვის განსაზღვრულ განზოგადებულ სწავლის შედეგებს;

მუხლი 2. მასწავლებლის მომზადების საგანამანთლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძვლები

2.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის საფუძველია:

2.1.1. საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარება;

2.1.2. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარება.

2.1.3. საგნობრივი ინგლისური ენის (დაწყებითი, საბაზო/- საშუალო საფეხური) წარმატებით ჩაბარება.

2.2. საგნის გამოცდისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩაბარების გარეშე, პირს უფლება აქვს გაიაროს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა, თუ იგი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხა იმ საგნის/საგნობრივი ჯგუფის ძირითად სწავლის სფეროში შემავალი ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე, რომელიც მოიცავს მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას და მას დაფარული აქვს ამ პროგრამით გათვალისწინებული კურსები/საგნები არანაკლებ 90 კრედიტის მოცულობით.

მუხლი 3. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე რეგისტრაციის წესი

3.1. უნივერსიტეტში დადგენილი პროცედურების შესაბამისად აპლიკანტმა განსაზღვრულ ვადებში უნდა წარმოადგინოს 3.3. პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტაცია. წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის, მისაღები პირობებისა და ვადების თაობაზე ინფორმაციას აქვეყნებს მარკეტინგისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტი უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

3.2. გამოცდაზე რეგისტრაციის მიზნით, აპლიკანტმა განცხადებით *(დანართი N1-ის შესაბამისად)* უნდა მიმართოს უნივერსიტეტს.

3.3. განცხადებას თან უნდა დაერთოს შემდეგი დოკუმენტები:

3.3.1. ბაკალავრის, მაგისტრის და/ან მათთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი;

3.3.2. უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ გაცემული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის შემთხვევაში, აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს ცნობა უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრიდან და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის სანოტარო წესით დამოწმებული თარგმანი;

3.3.3. პირადობის მოწმობის ასლი;

3.3.4. 2 ფოტო (3X4);

3.3.5. ფოტო CD დისკზე;

3.3.6. რეზიუმე (ქართულ და ინგლისურ ენებზე);

3.3.7. სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებულ პირთათვის);

3.3.8. საგნის გამოცდის წარმატებით ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი.

3.4. აპლიკანტი ვალდებულია ჩააბაროს მისთვის მინიჭებული საგნის/საგნობრივი ჯგუფის აკადემიური ხარისხის და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა. წინამდებარე პუნქტით განსაზღვრული გამოცდის ჩაბარების ვალდებულება არ ეკისრება პირს, რომელიც მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას გადის ინტეგრირებულად, საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში.

3.5. წინამდებარე მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების მიღებასა და საგამოცდო პროცესის ორგანიზებაზე პასუხისმგებელია სასწავლო პროცესების მონიტორინგის სამსახური.

მუხლი 4. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდის ჩატარების წესი

4.1. უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა ტარდება წერილობითი ფორმით, ინგლისურ ენაზე.

4.2. გამოცდა ტარდება 60 წუთის განმავლობაში. გამოცდის ფორმატი არის სამოტივაციო ესე. აპლიკანტმა ესეში უნდა ასახოს პროგრამაზე ჩარიცხვის მოტივაცია, დაასაბუთოს საკუთარი პროფესიული წინსვლისა და განვითარების საჭიროება და განსაზღვროს ამ მიზნის მიღწევის გზები.

4.3. ესეს შეფასების მაქსიმალური ქულა არის 20 ქულა. ესეს შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება დანართი N2-ის შესაბამისად.

4.4. საგამოცდო პროცესთან დაკავშირებული ყველა საკითხი მოწესრიგებულია „გამოცდების ჩატარების წესით“.

მუხლი 5. საგამოცდო ნამუშევრის შემოწმება და აპლიკანტებისათვის პირველადი შედეგების გაცნობა

5.1. საგამოცდო ნამუშევარი მოწმდება შესაბამისი დარგის საგამოცდო კომისიის მიერ.

5.2. საგამოცდო კომისია იქმნება გამოცდის შესაბამისი დარგის/დარგების, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე, სულ მცირე 3 პირისაგან, რომლის შემადგენლობაც მტკიცდება რექტორის ბრძანების საფუძველზე.

5.3. გამოცდის შედეგები აპლიკანტებს ეცნობებათ განცხადებაში მითითებულ ელ-ფოსტაზე ინფორმაციის გაგზავნის გზით, გამოცდის შედეგების მიღებიდან სულ მცირე 1 სამუშაო დღის ვადაში.

5.4. წინამდებარე მუხლით დადგენილი წესები არ ვრცელდება იმ პირებზე, რომლებიც მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას გადიან ინტეგრირებულად, საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში.

მუხლი 6. საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

6.1. აპლიკანტი უფლებამოსილია საგამოცდო ნამუშევრის შეფასება გაცნობიდან 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში გაასაჩივროს შესაბამისი სკოლის დეკანთან. გასაჩივრება ხორციელდება წერილობითი განცხადების გზით. ხოლო საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრირებული მასწავლებლის მომზადების პროგრამის შემთხვევაში საგამოცდო ნამუშევრის გასაჩივრების პროცესი განისაზღვრება უნივერსიტეტში მოქმედი „გამოცდების ჩატარების წესის“ შესაბამისად.

6.2. აპლიკანტმა განცხადებაში უნდა მიუთითოს გასაჩივრების საფუძველი და წარმოადგინოს შესაბამისი წერილობითი არგუმენტაცია.

6.3. სკოლის დეკანის წარდგინებითა და რექტორის ბრძანების საფუძველზე იქმნება სააპელაციო მიმღები კომისია, რომელიც შედგება სულ მცირე 3 (სამი) აკადემიური ხარისხის მქონე შესაბამისი დარგის სპეციალისტისაგან/წევრისაგან. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. კომისიის წევრს განსახილველი საკითხის მიმართ არ უნდა ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტი, მათ შორის იგი არ უნდა იყოს თავდაპირველი საგამოცდო კომისიის წევრი.

6.4. საჩივრის განხილვის ზოგადი წესები:

6.4.1. სააპელაციო კომისიას ეძლევა არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღე შეფასების განხორციელებისთვის.

6.4.2. შეფასების პროცესში სააპელაციო კომისია ვალდებულია გაეცნოს აპლიკანტის განცხადებას და საგამოცდო კომისიის შეფასებას. სააპელაციო კომისიას უფლება აქვს პირველადი გადაწყვეტილება დატოვოს ძალაში ან მიიღოს ახალი გადაწყვეტილება აპლიკანტის ჩარიცხვის შესახებ.

6.4.3. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და გასაჩივრებას არ ექვემდებარება.

6.4.4. სააპელაციო კომისია გადაწყვეტილებას 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში აცნობს დაინტერესებულ მხარეებს.

მუხლი 7. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის პროცესი

7.1. აპლიკანტი, რომელიც წარმატებით ჩააბარებს საგნის გამოცდას და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდას, ხვდება რანჟირების დოკუმენტში.

7.2. რანჟირების დოკუმენტი იქმნება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და აპლიკანტთა მიერ უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიღებული ქულის შესაბამისად. რანჟირების დოკუმენტში ხვდებიან ის განმცხადებლები, რომლებმაც ჩააბარეს საგნის გამოცდა/დაადასტურეს საგნობრივი კომპეტენცია და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაში მიიღეს სულ მცირე ქულათა 51%.

7.3. იმ შემთხვევაში, თუ რანჟირების დოკუმენტის შექმნის პროცესში აღმოჩნდება, რომ თანაბარი ჩარიცხვის უფლება აქვს ორ ან მეტ აპლიკანტს, უნივერსიტეტი იღებს გადაწყვეტილებას მისთვის გამოყოფილი მისაღებ პირთა ადგილების რაოდენობის ფარგლებში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ადგილების დამატების თაობაზე.

7.4. უნივერსიტეტისთვის გამოყოფილ დასაფინანსებელ პირთა ადგილების ფარგლებში დაფინანსების უფლების მოპოვება ხდება უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე მიღებული ქულების მიხედვით.

7.5. თუ უნივერსიტეტში გამოყოფილ დასაფინანსებელ პირთა ადგილების ფარგლებში თანაბარი დაფინანსების უფლება აქვს მოპოვებული ორ ან მეტ აპლიკანტს და ყველა მათგანის დაფინანსება ვერ ხდება, დაფინანსების უფლებით ისარგებლებს ის განმცხადებელი, რომელსაც საგნის გამოცდაში/საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაში მოპოვებული აქვს უფრო მაღალი ქულა. თუ აღნიშნულ აპლიკანტებს საგნის გამოცდაში/საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაში აქვს თანაბარი ქულა, აპლიკანტები აბარებენ დამატებით წერით გამოცდას. დამატებითი გამოცდის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები ძირითადი გამოცდის ფორმატისა და შეფასების კრიტერიუმების მსგავსია. დასაფინანსებელ პირთა სიაში გათვალისწინებული იქნება აპლიკანტ(ებ)ი, რომლებსაც, უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ დამატებით გამოცდაზე მიღებული ექნებათ უფრო მაღალი ქულა.

7.6. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტთა ჩარიცხვის მიზნით რანჟირების სია წარედგინება რექტორს. რექტორი გამოსცემს ბრძანებას პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ.

7.7. ჩარიცხულ პირსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულება, სადაც განისაზღვრება მათი უფლება-მოვალეობები

7.8. პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის შესახებ ბრძანება ძალაში შედის უნივერსიტეტთან ორმხრივი ხელშეკრულების დადების შემდეგ. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული ხელშეკრულება არ არის ორმხრივად ხელმოწერილი, ჩარიცხვის შესახებ ბრძანება ძალადაკარგულია.

მუხლი 8. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატუსის შეჩერება

8.1. პირის სტატუსის შეჩერებად განიხილება უნივერსიტეტისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლება-მოვალეობების შესრულებისგან განთავისუფლება პირის სტატუსის შეწყვეტის გარეშე.

8.2. პირის სტატუსის შეჩერების საფუძველია:

8.2.1. პირადი განცხადება (მიზეზის მითითების გარეშე);

8.2.2. ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება;

8.2.3. ფინანსური დავალიანება;

8.2.4. აკადემიური/ადმონისტრაციული რეგისტრაციის გაუვლელობა;

8.2.5. უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა;

8.3. პირი, რომელსაც შეჩერებული აქვს სტატუსი, არ განიხილება უნივერსიტეტის სტუდენტების საერთო რაოდენობის ფარგლებში. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირების რაოდენობის აღრიცხვის მიზნით, უნივერსიტეტი ვალდებულია უზრუნველყოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის შეჩერების რეგისტრაცია.

მუხლი 9. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატუსის აღდგენა

9.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი უფლებამოსილია აღიდგინოს სტატუსი სტატუსის შეჩერებიდან 5 წლის განმავლობაში.

9.2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სტატუსის აღდგენა დასაშვებია სტუდენტთა საერთო რაოდენობის ფარგლების გადაჭარბებით. ამ შემთხვევაში სტუდენტების საერთო რაოდენობის ზევით ჩარიცხული პირების რაოდენობა გამოაკლდება მომდევნო სასწავლო წლისათვის დაწესებულების მიერ დადგენილ სტუდენტთა მისაღები ადგილების რაოდენობას.

9.3. სტუდენტური სტატუსის აღდგენის წინაპირობები და პროცედურა განსაზღვრულია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით.

9.4. ფინანსური დავალიანების გამო სტუდენტის სტატუსის შეჩერების შემთხვევაში, სტატუსის აღდგენა ხორციელდება „საგანმანათლებლო მომსახურების საფასურის გადახდის

წესის“ შესაბამისად. აღნიშნული წესი მოქმედებს იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც თავად იხდიან სწავლის საფასურს.

მუხლი 10. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე სტატუსის შეწყვეტა

10.1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძვლებია:

10.1.1. საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება; ;

10.1.2. სხვა უმაღლეს საგანმანთლებლო დაწესებულებაში გადასვლა;

10.1.3. უნივერსიტეტის დისციპლინური ნორმების დარღვევა, რომლებიც “სტუდენტთა დისციპლინარული პასუხისმგებლობის მარეგულირებელი წესის“ შესაბამისად ითვალისწინებს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტას;

10.1.4. ჯამში ხუთი წლის განმავლობაში სტუდენტის სტატუსის შეჩერება, გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა;

10.1.5. პირადი განცხადება;

10.1.6. გარდაცვალება;

10.2. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ სამართლებრივი აქტით გათვალისწინებული სამართლებრივი შედეგები დგება ბრძანების გამოცემიდან თორმეტი თვის შემდეგ. დროის ამ მონაკვეთში სტუდენტის სტატუსი ითვლება შეჩერებულად და სტუდენტი უფლებამოსილია ისარგებლოს მობილობის უფლებით.

10.3. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შემთხვევაში, მისი ხელახლა მოპოვება დასაშვებია კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტასთან დაკავშირებული სხვა საკითხები მოწესრიგებულია საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 11. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის უფლება - მოვალეობები

11.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი უფლებამოსილია:

11.1.1. მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისი უმაღლესი განათლება;

11.1.2. უნივერსიტეტის დებულებებით დადგენილი წესების შესაბამისად, თანაბარ პირობებში ისარგებლოს მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;

11.1.3. თავისუფლად გამოხატოს თავისი აზრი და უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომლებსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესში;

11.1.4. პერიოდულად მიიღოს მონაწილეობა აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასებაში ხარისხის მართვის სამსახურთან თანამშრომლობით;

11.1.5. განიხილოს მისთვის საინტერესო საკითხი პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და სკოლის დეკანთან.

11.1.6. მიიღოს სამართლიანი და ობიექტური შეფასება;

11.1.7. გაასაჩივროს შუალედური და დასკვნითი გამოცდის შეფასებები,შედეგის გაცნობიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში საჩივრდება სასწავლო პროცესების მონიტორინგის სამსახურისთვის განცხადებით მიმართვის გზით. გასაჩივრების წესი განსაზღვრულია „გამოცდების ჩატარების წესით";

11.1.8. განახორციელოს უნივერსიტეტის დებულებებით, მასთან დადებული ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით მინიჭებული სხვა უფლებები.

11.2. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირი ვალდებულია:

11.2.1. ისწავლოს და განვითარდეს ინტელექტუალურად იმ მრავალი შესაძლებლობის გამოყენებით, რომელსაც მას სთავაზობს უნივერსიტეტი პირადი ზრდის, განვითარებისა და წარმატებისათვის;

11.2.2. დაეუფლოს სასწავლო კომპონენტებს საგანმანთლებლო პროგრამისა და უნივერსიტეტის დებულებების მოთხოვნების შესაბამისად;

11.2.3. დაიცვას უნივერსიტეტის წესები. წესების არცოდნა არ წარმოადგენს პირის პასუხიმგებლობისაგან გათავისუფლების საფუძველს;

11.2.4. დაიცვას მასსა და უნივერსიტეტის შორის ორმხრივი შეთანხმებიდან გამომდინარე ვალდებულებები;

11.2.5. გაუფრთხილდეს და დაიცვას უნივერსიტეტის უძრავი და მოძრავი ქონება;

11.2.6. იმოქმედოს გარემოს დაცვითი, ეკოლოგიური, სანიტარული, სახანძრო უსაფრთხოებისა და სხვა ზოგადი წესების შესაბამისად.

11.3. უნივერსიტეტისა და მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირს შორის არსებული ორმხრივი ვალდებულებები განსაზღვრულია ამ დებულებით, პირთან დადებული ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 12. საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობა

12.1. საგანმანათლებლო პროცესი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მოიცავს 2 (ორი) აქტიურ სემესტრს. საბაკალავრო პროგრამაში ინტეგრირებული მასწავლებლის მომზადების პროგრამის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროცესის ხანგრძლივობა/გრაფიკი განისაზღვრება შესაბამისი პროგრამის სასწავლო გეგმით.

მუხლი 13. რეგისტრაცია

13.1. აკადემიური კალენდრით განსაზღვრულ პერიოდში რეგისტრაციის პროცესის ადმინისტრირებას ახდენს შესაბამისი სკოლა. რეგისტრაციის პროცესი მოიცავს ორ ეტაპს:

პირველ ეტაპზე ხდება სტუდენტისთვის საჭირო საგნების/კომპონენტების არჩევა და ფინანსური რეგისტრაცია (უნივერსიტეტის დებულებებისა და სტუდენტთან გაფორმებული ხელშეკრულების (შეთანხმების) შესაბამისად. მეორე ეტაპზე ხდება აკადემიური რეგისტრაცია (ლექტორის, სალექციო დღის და საათის არჩევა).

13.2. წინამდებარე მუხლის 13.1 პუნქტით განსაზღვრული ფინანსური რეგისტრაცია ეხება პროგრამის იმ სტუდენტებს, რომლებიც თავად იხდიან სწავლის საფასურს.

13.3. კომპონენტებზე დარეგისტრირების მიზნით, რეგისტრაციის პერიოდში სტუდენტს უჩნდება წვდომა მონაცემთა ბაზაზე. კომპონენტზე რეგისტრაციის პროცესი სრულდება სტუდენტის მიერ რეგისტრაციის დადასტურებით (რეგისტრაციისთვის დადგენილ ვადებში).

13.4. სალექციო პროცესის დაწყებამდე სტუდენტს შეუძლია დაამატოს, შეცვალოს ან წაშალოს არჩეული კომპონენტი სემესტრის დაწყებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში.

13.5. თუ სტუდენტი არ დარეგისტრირდება 14.1 – 14.4 პუნქტების შესაბამისად, სტუდენტის სტატუსი შეჩერდება.

13.6. სტუდენტის მიერ სემესტრში ასაღები კრედიტების საშუალო რაოდენობა არის 30. მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში სემესტრში ასაღები კრედიტების რაოდენობა განისაზღვრება ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.

13.7. სტუდენტს უფლება აქვს აიღოს სემესტრში 30 კრედიტზე მეტი იმ შემთხვევაში, თუ:

ა) სტუდენტს სურვილი აქვს სემესტრის განმავლობაში აიღოს დამატებითი კომპონენტი(ები);

ბ) სკოლის საბჭოს მიერ დადგინდება სხვა ობიექტური საფუძველი;

მუხლი 14. სწავლების ენა

14.1. სწავლების ენა მასწავლებლის მომზადების საგანამანათლებლო პროგრამაზე არის ინგლისური.

მუხლი 15. საკრედიტო სისტემა

15.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პირის სწავლის შედეგების შეფასება ხდება ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული საკრედიტო სისტემით.

15.2. კრედიტი არის ერთეული, რომელიც გამოხატავს პირისათვის საჭირო სასწავლო დატვირთვას და რომლის მიღებაც შესაძლებელია სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ.

15.3. პირის წლიური დატვირთვა არის 60 კრედიტი - 1500 საათი (1 კრედიტი არის 25 საათი და მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს). პირის სემესტრული დატვირთვა არის საშუალოდ 30 კრედიტი.

მუხლი 16. პრაქტიკა

16.1. პრაქტიკა ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე ,,პრაქტიკის ინსტრუქციით“ დადგენილი წესით.

მუხლი 17. საგამოცდო პროცესი

17.1. გამოცდების ჩატარებასთან, საგამოცდო წესებთან, ნაშრომის გასაჩივრებასთან და გამოცდებთან დაკავშირებული სხვა საკითხები განსაზღვრულია ,,გამოცდების ჩატარების წესით“ და ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით“; წინამდებარე წესიდან გამონაკლისი შეიძლება დადგინდეს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების წესში პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე.

17.2. სემესტრის განმავლობაში დაშვებულია მხოლოდ ერთი შუალედური გამოცდა. შუალედურ გამოცდებს ეთმობა სემესტრის მე-8 კვირა. ხოლო შუალედური გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტი უფლებამოსილია გავიდეს აღდგენით გამოცდაზე სემესტრის მე-9 კვირას.

მუხლი 18. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება

18.1. მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებისათვის პირმა უნდა დააგროვოს პროგრამით გათვალისწინებული 60 კრედიტი.

18.2. პროგრამის დასრულების შემდეგ, სკოლის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე, რექტორის ბრძანების საფუძველზე პირზე გაიცემა მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის სერტიფიკატი და სერტიფიკატის დანართი.

მუხლი 19. სწავლის საფასურის გადახდასთან დაკავშირებული საკითხები

19.1. პირები, რომლებიც ფლობენ სახელმწიფო გრანტს, თავისუფლდებიან სწავლის საფასურის გადახდისაგან.

19.2. უნივერსიტეტში უზრუნველყოფილია პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა დაფინანსების პროცედურა. უნივერსიტეტისთვის გამოყოფილ დასაფინანსებელ პირთა ადგილების ფარგლებში დაფინანსების უფლების მოპოვება ხდება უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ გამოცდაზე მიღებული ქულების მიხედვით.

19.3. თუ უნივერსიტეტში გამოყოფილ დასაფინანსებელ პირთა ადგილების ფარგლებში თანაბარი დაფინანსების უფლება აქვს მოპოვებული ორ ან მეტ აპლიკანტს და ყველა მათგანის დაფინანსება ვერ ხდება, დაფინანსების უფლებით ისარგებლებს ის განმცხადებელი, რომელსაც საგნის გამოცდაში/საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაში მოპოვებული აქვს უფრო მაღალი ქულა. თუ აღნიშნულ აპლიკანტებს საგნის გამოცდაში/საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაში აქვს თანაბარი ქულა, აპლიკანტები აბარებენ დამატებით წერით გამოცდას. დამატებითი გამოცდის ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები ძირითადი გამოცდის ფორმატისა და შეფასების კრიტერიუმების მსგავსია. დასაფინანსებელ პირთა სიაში

გათვალისწინებული იქნება აპლიკანტ(ებ)ი, რომლებსაც, უნივერსიტეტის მიერ ჩატარებულ დამატებით გამოცდაზე მიღებული ექნებათ უფრო მაღალი ქულა.

19.4. პირის მიერ სტატუტის შეჩერების ან შეწყვეტის შემთხვევაში, ასევე დამატებით/ჩაჭრილ კომპონენტთან დაკავშირებული სწავლის საფასურის გადახდის წესი განისაზღრება უნივერსიტეტში მოქმედი ფინანსური რეგულაციებითა და უნივერსიტეტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

მუხლი 20. დასკვნითი დებულებები

20.1. პირის დისციპლინასთან დაკავშირებული საკითხები მოწესრიგებულია ,,სტუდენტთა დისციპლინური პასუხისმგებლობის მარეგულირებლი წესით". ამასთან, აღნიშნული წესი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირზე ვრცელდება მასწავლებლის მომზადების საგანამანთლებლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით.

20.2. საკითხები, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე წესით, რეგულირდება ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით" . ამასთან, აღნიშნული წესი მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირზე ვრცელდება მასწავლებლის მომზადების საგანამანთლებლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, ასევე რეგულირდება მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხულ პირსა და უნივერსიტეტის შორის დადებული ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით.

20.3. საკითხი, რომელიც არ არის მოწესრიგებული წინამდებარე წესით, რეგულირდება ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით, პირის მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების წესის დამტკიცები თაობაზე" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 5 სექტემბრის N111/ნ ბრძანების და შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სხვა ნორმატიული დოკუმენტაციით.

20.4. წინამდებარე დებულება, ასევე მასში განხორციელებული ნებისმიერი სახის ცვლილება და დამატება მტკიცდება და ძალაში შედის უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე;

20.5. წინამდებარე დებულების შესრულებაზე ზედამხედველობა განხორციელდება განათლების, ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების სკოლის დეკანის მიერ.

დანართი N1

განაცხადის ფორმა

(მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა)

APPLICATION FORM (Teacher Training Educational Program)

ფოტო

Photo

პირადი ინფორმაცია/PERSONAL INFORMATION

სახელი/First Name: .....

გვარი/Surname(s): .....

სქესი/Gender: ☐ მდედრობითი/Female ☒ მამრობითი/Male

დაბადების თარიღი/Date of Birth: ...../...../.....

დღე DD /თვე MM /წელიYYYY

მოქალაქეობა/Citizenship: .....

ქალაქი/City ქვეყანა/Country

პირადი ელ-ფოსტა/E-mail (personal): .....:

☐ მესაჭიროება სპეციალური საგამოცდო პირობა/პირობები/I require special condition(s) for the examination:

<u>იურიდიული მისამართი/Permanent Address:</u>

.....

ბინის ნომერი, ქუჩა და ქუჩის ნომერი, ქალაქი, ქვეყანა/Apartment Number, Number and Street, City and Zip Code, Country

სახლის ტელეფონი/Home Phone: .....

მობილური ტელეფონი/Mobile Phone: .....

სამუშაო ადგილი (არსებობის შემთხვევაში)/Work Place (if any):

პოზიცია/Position: ..... ქალაქი/City: ..... ქვეყანა/Country: ...
.....

სამსახურის ელ-ფოსტა/E-mail (work):

.....

სამსახურის ტელეფონი/Work Phone:

.....

<u>ფაქტობრივი მისამართი/Current Address:</u>

(თუ განსხვავდება იურიდიული მისამართისაგან/if different from your permanent address)

.....
.....
.....

ბინის ნომერი, ქუჩა და ქუჩის ნომერი, ქალაქი/Apartment Number, Number and Street, City and Zip Code

სახლის ტელეფონი/Home Phone:
.....

ინფორმირებული ვარ, რომ შპს - შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი გამოცდის შედეგს ოფიციალურად მაცნობებს ჩემს მიერ ზემოთ მითითებულ ელექტრონულ ფოსტაზე. აგრეთვე, ინფორმირებული ვარ, რომ გამოცდის შედეგის გასაჩივრება შესაძლებელია შედეგების გამოცხადებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში.

I understand that International Black Sea University, LLC will officially inform me about the examination result via the email address I have provided above. I also understand that I can appeal to International Black Sea University, LLC for the examination result within one work day after the results have been announced.

სახელი, გვარი/Name and Surname: .....

ხელმოწერა/Signature: .....

თარიღი/Date: .....

დანართები/ATTACHMENTS:

1. ბაკალავრის/მაგისტრის დიპლომის სანოტარო წესით დამოწმებული ასლი (უცხო ქვეყნის უმაღლესი საგანამანთლებლო დაწესებულების მიერ გაცემული დიპლომი აღიარებული უნდა იყოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ)
   Copy of bachelor's / master's diploma – notary approved (if finished abroad: recognized by EQE)
2. პირადობის მოწმობის ასლი/Copy of ID card
3. 2 ფოტო/photos (3 x 4)
4. ფოტო CD დისკზე/Photo on CD
5. CV (ქართულ და ინგლისურ ენებზე/in Georgian and English)
6. მამრობითი სქესის სტუდენტებისათვის: სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი ცნობა/Male students: military certificate
7. საგნის გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი დოკუმენტი (სსიპ - შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრიდან)/Subject examination passing document from NAEC